საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

№ 142 ხუთშაბათი, იანვრის 11 (24) 1918 წ. № 142

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გუშინ დამფუძნებელი კრების შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა.—ციმბირში ბოლშევიკებსა და ყაზახებს შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს.—იაპონელები ციმბირში კოლონიზაციას აპირებენ: კერძო მაღაროებს და სხვა სამრეწველო დაწესებულებებს ხელში იგდებენ.—კავკავში მდგომარეობა უმწეოა: ქალაქი მთლად დარბეულია, დამცველი არავინ არის; დახმარებას სთხოვენ ამიერ-კავკ. კომისარიატს.—სადგურ აქსტაფას თათრებმა ალყა შემოარტყეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×3 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადუდი") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

ამხანაგებო!

სამშობლო და რევოლიუცია განსაცდელშია. მოითხოვეთ დაუყოვნებლივ ზავი, მოითხოვეთ საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა და ერთა ავტონომიების ძმური კავშირი!

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: *Тифлисъ ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190.*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილით არის ღია.

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

ოლღა სპირიდონის ასული მაჭავარიანისა, სოლომონ და დავით ილიას ძე მაჭავარიანები, ნინა, ელენე, თამარი და ქეთევან მაჭავარიანის ასული, ნიკო დავითის ძე მამულაიშვილი, ანა მაჭავარიანის ასული ანანიაშვილისა, ნიკო ზაქარიას ძე მაჭავარიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგებს, რომ ქალაქ შირიფხანში პირველ იანვარს ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეთა და მესამეთა ძმა მეოთხესი ცოლის ძმა და მეხუთესი და მეექვსესი ძმისწული

ზაქარია ილიას ძე მაჭავარიანი

რომელიც ჩამოსვენებულ იქნა ტფილისში საკუთარ ბინაზე (მასკოვის ქ. № 7) 7 იანვარს და დასაფლავებულ იქნება ხუთშაბათს, 11 იანვარს კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან დილის 11 საათზე. 46

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ დავითის ასული გუგუნავასი, შვილები ბარბარე, გიორგი და ნიკოლოზ გუგუნავები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 13 იანვარს ქალაქ სამტრედიაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას მიცვალებულის

მაქსიმე ნიკოს ძე გუგუნავას

სულის მოსახსენებლად. 41

მღვდელი გაბრიელ მეუღლე ანნა და სიმონ მეუღლე ლოლა პარკაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის ბიძისა

ნიკოლოზ გრიგოლის ძის სოლოლაშვილისას

დაკრძალვა მოხდება კვირას 14 იანვარს ქ. გორში. 47

გულდათუთქული შვილები: ნინო მიხაილოვისა, გიორგი და ვახტანგ სოლოლაშვილები, რძალი ანნა სოლოლაშვილისა, სიძე ალექსანდრე მიხაილოვი და ცოლის და ნინო ივანოვისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასისა

ნიკოლოზ გრიგოლის ძე სოლოლაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიცვალებულისა კვირას, 14 იანვარს, დილის 10 საათზე ოქონის ეკლესიაში. ქ. გორში. 47

ახალი სკოლა-პანსიონი

მ. ერისთავისა სოფ. დოესში. მიიღება მოწაფეები მოსამზადებელ 2 და 3 კლასებში.

ამზადებენ როგორც ქართული ისე რუსული გიმნაზიებისათვის. მისამართი **დავიდოვის ქუჩა № 43, კნ. რუსიევისას 4—7 საათამდის.**

დაბა ხაშური

შაბათს, 13 იანვარს, ხაშურის რკ. გზ. კლუბში გაიმართება საღამო სოც.-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ.

1. წარმოდგენილი იქნება დრამა **ტრაგედია მოწაფისა**
2. პოეტები ს. ფაშალიშვილი და ი. მჭედლიშვილი წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.
3. იმღერებს მომღერალი მ. ძიმისტარაშვილი.

იქნება ბუფეტი, ფოსტა, ლოტერეა, დაუკრავს ორკესტრი. დასასრულ გაიმართება ცეკვა. 1014

ქართ. დრამ. | **ქართული კლუბი** | წარმოდ. № 26.

ხუთშაბათს, 11 იანვარს, 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარ. იქნება:

მესამედ არციბაშევის

ომი

4 მოქ. თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პარასკევს 12 იანვარს ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე სახლ „ძმურ ნუგეშ"-ში დანიშნულია ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების

საგანგებო კრება

საგანი კრებისა: სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა. 1015

აკაკის სახელობის საზამთრო ბაღში,

რომელიც მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში მეცადინეობა განახლდა. ბავშვების მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილით 10—2 საათამდის. 1016

ქართული სრულ უფლებიანი ქალ-ვაჟთა გიმნაზია მასწავლებელთა კოლეგიისა.

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა-იწარმოებს ქართულ ენაზე და I, II, III, IV და V კლ. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 9 ს. ვიდრე 2 საათამდე. მისამართი: ალექსეევის ქ. № 17. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 15

1918 წლის პირველ იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ ლიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ

„პრომეთე"-ზე

ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი სამი თვით ეღირება 9 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მან.

ჟურნალის უახლოეს თანამშრომლებად მოწვეული არიან:

აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსახურდია. გამომცემელი: ისიდორე ხტურია.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„სახალხო საქმის" კანტორაში ნინო ნეიმანთან; „სახალხო საქმის" სტამბაში დ. მგალობლიშვილთან; ქუთაისში „ხალხის მეგობრის" რედაქციაში გიგლა მებუკესთან და თინა გველესიანთან. [illegible] ბაზილინა ხაინდრავასთან; ჭიათურაში ნინო ჯგებუაძესთან; გორში სიმონ მაჭავარიანთან; თელავში სიმონ წერეთელთან.

ჟურნალის დასაკვეთი ფული და აგრეთვე მასალა ჟურნალისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „პრომეთეს" რედაქციას.

ჭიათურის უმაღლეს დაწყებითი სავაჟო სასწავლებლისათვის საჭიროა

ხაზვა-ხატვის მასწავლებელი

პირობები: ჯამაგირი 1800 მ., სამხედრო დამატება 1200 მ., ხუთწლიანი დამატებები. გაკვეთილების რიცხვი 22 კვირაში. თხოვნები საცენზო დოკუმენტითა და კურიკულუმ ვიტე უნდა გაიგზავნოს სასწავლებლის ინსპექტორის სახელობაზე 15 იანვრამდის. 2280

კავკასიის საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

პირველი საზოგადო კრება ყველა წევრებისა გაიმართება ხუთშაბათს 25 იანვარს, 5 საათზე, ქართულ კლუბის დარბაზში. კრებაზე მოწვეულია ყველა ის პირი, რომელიც ირიცხება საზოგადოების წევრად და ფულიც შეიტანა სახელმწიფო ბანკში. შესავალში საჭიროა სახ. ბანკის კვიტანციის წარდგენა.

კრების საგანი: 1) საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება; ა) ბანკის მოწყობის საკითხი, ბ) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, გ) ბანკის ოპერაციების გახსნა, დ) საბჭოს წევრთა შემადგენლობის გადიდება. 2) გამგეობის საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატების არჩევა.

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა, უნდა წარადგინოს ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრის რეკომენდაცია. დამფუძნ. წევრთა სიის, წესდების და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ბანკის კონტორაში, სოლოლაკის ქ. და სერგიევის ქ. კუთხეში, № 1, ყოველ დღე 10—$2^{1}/_{2}$ საათამდე. იმ პირებს, რომელთაც არ შეუტანიათ ფული ორდერებით, უნდა შეიტანონ საზოგადოების ხაზინადართან, დაწესებულ საათებში, ხოლო არა უგვიანეს პირველი სახ. კრების გახსნისა.

თავმჯდომარე ს. გ. ტერ-მინასოვი, ხაზინადარი ვ. ა. ასან-ჯალალოვი. წევრები: ა. ჭავჭავაძე, მ. ვასილიევი, ნ. ფ. ილიიშენკო, ს. გ. კაპონაკოვი და ს. ჭყონია. 45

ამიერკავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ბანკის ბინაზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელ. № 5—26).

14 იანვარს 1918 წ. დღის 12 საათზე

დანიშნულია მეორეთ აქციონერთა არაჩვეულებრივი კრება

შემდეგი **საკითხების** გასარჩევად: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) განყოფილებების გახსნა.

შენიშვნა: ეს კრება, როგორც მეორედ მოწვეული, წესდებისა § 67 თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც უნდა დაესწროს. იმავე შენობაში და იმავე რიცხვს დღის ორს საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა პირველი არაჩვეულებრივი კრება, სარევიზიო კომისიის ორი წევრის ასარჩევად.

შენიშვნა: სახელდებულ აქციათა პატრონთ კრებაზე ხმის უფლება ექნებათ, თუ ისინი აღნიშნული იქნებიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე. 2251

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 11 იანვარს, გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა

„სპორტის საღამო" მთელი დასის მონაწილეობით. გასტროლები სერბელი ქალის ჯოიანის, ცნობილი აკრობატების კამო, მოჯირითე ქორეის ვლადიმიროვის. კომიკოს-იუმორისტების ძმ. იონასის გასტროლების გაგრძელება. აგრეთვე სხვა არტისტების გასტროლები. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. სოშნსკი და მჩატე „სვობოდა", 2. ალბერტ რაავგო და მეფელაური, 3. სტერსი და ზაგორუიკო, 4. დევგმირი [illegible] და როლანდი, 5. მოჭიდავეთა მეფე ზბიშკო ციგანევიჩი და იალოვი. წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 საათზე, გათავდება 12 ს.

ანონსი: ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. მოდიან ახალი მსოფლიო ატრაქციონები. 48

ტფილისი, 11 იანვარი 1918 წ.

ბოლშევიკების დეკლარაცია

რუსეთის დამფუძნებელი კრება სახალხო კომისარიატმა გარეკა. სახალხო კომისარებს ამ აქტის გასამართლებლად ის საბუთი მოყავდა, რომ დღევანდელი რეალური ძალთა განწყობილება რუსეთში აღარ შეეფერება იმ არჩევნებს, რომელიც მეორე რევოლიუციამდე მოხდა, ჩვენ არ გამოუდგებით იმის გამორკვევას თუ რამდენად მართალია ეს ახსნა-განმარტება, აშკარაა ჯერ მხოლოდ შემდეგი: მოწვეულ დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების უმრავლესობა არ აღმოჩნდა და კრებაც დაიხურა. მტკიცე კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით, რასაკვირველია, შეუწყნარებელია დამფუძნებელ კრებისადმი ასეთი დამოკიდებულება, რასაც თვით სახალხო კომისარიატმა იგრძნო და თავის გამართლებისათვის ახალი დეკლარაცია გამოსცა რუსეთის პროლეტარიატის და ერების საყურადღებოდ, რომელიც დამფარველია დღემდე გამოქვეყნებულ ყველა სხვა დეკრეტისა. მაგრამ არის კიდევ ახალი რამ, რაც შეუძლებელია არ აღინიშნოს. ეხლანდელი დეკლარაცია სრულიად ახალ ხანას უშლის კაცობრიობას, თავის რადიკალიზმით დეკლარაცია უმაგალითოა მეოცე საუკუნეში და რამდენადმე ამართლებს და ფარავს იმ არა კონსტიტუციონურ საბჭოს, რომელსაც ბოლშევიკებმა მიმართეს დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ. ამ მხრივ სახალხო კომისარიატის ნაბიჯი შაბლონურია. თვითმპყრობელობაც მიმართავდა მანიფესტებს ძალადობის შემდეგ და ამიტომ გაცილებით მეტი ფასი ექნებოდა დეკლარაციას, ის რომ გამოეცხადებინა არა მხოლოდ დამფუძნებელ კრების გარეკისას, არამედ წინად, ჩვეულებრივ ცხოვრების დროს.

გარეშე წმინდა პრაქტიკულ გარემოებათა, განყენებულად, დეკლარაცია მშრომელ ადამიანის უფლებებს გვიხატავს. დეკლარაცია სავსებით სდგას სოციალისტურ სახელმწიფოს პრინციპის თვალსაზრისზე და ფორმალურადაც აცხადებს რუსეთს სოციალისტურ სამეფოდ, სხვა ქვეყნებში კი სოციალიზმის გამარჯვებას. სოციალიზმის პრინციპიდან გამომდინარეობს მთელი რიგი ლოღიკური დასკვნა: მოსპობა თანამედროვე საზოგადოებრივ განწყობილებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ სხვაობის ნიადაგზე. გამოცხადებულია გაუქმება კლასებისა, მოსპობა კაპიტალისტების და რენტის სარგებლის კერძო მითვისებისა; შრომა საყოველთაო მოვალეობად არის მიჩნეული, დარღვეულია უცხო სახელმწიფოებთან დადებული ყველა ძველი ხელშეკრულება და ვალსაც აღარ სცნობენ გადასახდელად. გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ხსენებული შესანიშნავი დეკლარაცია და მკითხველი საზოგადოებაც დიდი გულისყურით გაეცნობოდა, მაგრამ როდესაც გაბატონებული მთავრობა დეკლარაციას აცხადებს, მოქალაქენი ყურადღებას მიაქცევენ არა მარტო თეორიულ და აბსტრაქტიულ ღირსებას, არამედ მის პრაქტიკულ შინაარს, ამ მხრივ დეკლარაციას ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს ვინაიდან რუსეთის სოციალისტურ სახელმწიფოდ გამოცხადება რუსეთის თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ და საერთაშორისო განწყობილებაში—ოცნებაა და მოგვეხსენებათ რომ ოცნება, რამდენადაც კარგი შინაარსის არ უნდა იყოს თავისთავად, რეალურ ცხოვრებისათვის უშინაარსო მასალაა მხოლოდ.

ქართული პრესა

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი არ. ჯაჯანაშვილისა, რომელიც ოსმალეთთან ზავის საკითხს ეხებოდა და სხვათა შორის არკვევდა, რანაირი შესაძლებლობაა გადაშლილი ჩვენ წინ. მდგომარეობა ისეთი შეიქმნა ოსმალეთის საზავო წინადადების გამო, რომ ან რუსეთთან კავშირი უნდა გავსწყვიტოთ და მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ, ან არ ჩამოვაგდოთ და ვუცადოთ იმ დროს, როდესაც თვით რუსეთი შეჰკრავს ზავს. ეს ცხადი და გარკვეული აზრი ამნაირად გადაატრიალა გაზეთმა „ერთობამ“:

„ან სეპარატიული ზავი, ან ბოლომდე ომი—ასეთია ამ ბრძენ პოლიტიკოსების უკანასკნელი სიტყვა“

არა ბატონებო! ასეთი არ არის ჩვენი უკანასკნელი სიტყვა. ჩვენი სიტყვაა **ზავის ჩამოგდება** და, თუ ამ მიზნის განხორციელება აყენებს დილემას, ან ომის გათავება, ან ცდა იმ დრომდე, სანამ ომს რუსეთის დამფუძნებელი კრება შეჰკრავს, ეს **ჩვენი** სიტყვა კი არ არის, ჩვენგან დამოუკიდებლად შექმნილი ობიექტური პირობება,

ნარკვევი

რუსულ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“, რომელიც ცნობილ რუსის მწერლის მაქსიმე გორკის რედაქტორობით გამოდიოდა აქამდე და ბოლშევიკების დიდი სიმპატია ჰქონდა-დამსახურებული—დრო და დრო იბეჭდება ფრიად საინტერესო წერილები თვით რედაქტორისა. ამ წერილებს დაცინვით ავტორი საერთო სათაურს უკეთებს: „დროის შეუფერებელი ფიქრები“. მოგვყავს ერთი უკანასკნელ ამ წერილთაგანი, რომელიც შეეხება რუსეთის რევოლიუციას და ბოლშევიკებს. მ. გორკი სწერს:

იდეური მაქსიმალიზმი მეტად სასარგებლო საქმედ მიმაჩნია რუსის მოდუნებული სულისათვის—ამ მაქსიმალიზმმა მასში უნდა აღზარდოს დიდებული და გაბედული მოთხოვნები, უნდა დაბადოს დიდი ხნის აუცილებელი საქმიანობა, აქტივობა, გაანვითაროს ამ მოდუნებულ სულში ინიციატივის წყურვილი, ფორმა მისცეს მას, გამოაცოცხლოს.

მაგრამ პრაქტიკული მაქსიმალიზმი ანარქო კომუნისტებისა და სმოლნის ფანტაზიორობისა დამღუპველია რუსეთისათვის და უპირველესად ყოვლისა რუსის მუშათა კლასისთვის.

სახალხო კომისარები რუსეთს ისე ეპყრობიან, როგორც საცდელ მასალას, რუსის ხალხი მათთვის ის ცხენია, რომელსაც მეცნიერი ბაქტერიოლოგები აუცრიან სახადს, რომ ცხენმა თავის სისხლში მოამზადოს სახადის საწინააღმდეგო შრატი. სწორედ ასეთ საშიშარ და წინდაწინვე ცნობილ უშედეგო ცდას ახდენენ სახალხო კომისარები რუსის ხალხზე. იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ განაწამები, ნახევრად მშიერი ცხენი დაიხრჩობა!

სმოლნის რეფორმატორებს რუსეთზე ფიქრი არ აწუხებთ. ისინი გულ გრილად სწირავენ მსხვერპლად რუსეთს მსოფლიო თუ ევროპის რევოლიუციას.

რუსეთის ცხოვრების არსებულ პირობებში ადგილი არ აქვს სოციალურ რევოლიუციას, ვინაიდან არ შეიძლება ერთი დაკვრით მცხოვრებთა 85 პროცენტი გლეხობის სოციალისტებად გარდაქმნა, რომელთა შორის რამდენიმე ათეული მილიონი სხვა-და-სხვა ერის მომთაბარე ხალხი ცხოვრობს.

ასეთი უგნურზე უგნური ცდისაგან უპირველესად დაზარალდება მუშათა კლასი, ვინაიდან ის რევოლიუციის მოწინავე რაზმია, ის პირველად გაიჟლიტება სამოქალაქო ომში და უკეთუ გაიჟლიტება და განადგურდება მუშათა კლასი, ეს ნიშნავს, რომ განადგურებული იქნება ქვეყნის საუკეთესო ძალა, მისი იმედი.

და აი, მივმართავ რა იმ მუშებს, რომელთაც შეუგნიათ თავიანთი კულტურული როლი ამ ქვეყანაში, ვეუბნები: პოლიტიკურად ცოტათი გაწვრთნილი პროლეტარიატიც კი ჩაუკვირდება საქმის შინაარს, დაკვირვებითვე შეაფასებს თავის დამოკიდებულებას სახალხო კომისარების მთავრობისადმი, მეტისმეტი სიფრთხილით უნდა მოეპყრას ის მათ სოციალურ შემოქმედებას.

ჩემი აზრი კი ასეთია: სახალხო კომისარები ანადგურებენ და ღუპავენ რუსეთის მუშათა კლასს, ისინი საშინლად და სულელურად ართულებენ მუშათა მოძრაობის საქმეს; აშორებენ რა ამ მოძრაობას გონიერების საზღვარს, ისინი ჰქმნიან ძნელ პირობებს პროლეტარიატის მომავალი მუშაობისათვის და საერთოდ ქვეყნის მთელი პროგრესისათვის.

ჩემთვის სულ ერთია, რაც არ უნდა მიწოდონ ასეთი აზრებისათვის ექსპერიმენტების და ფანტაზიორების „მთავრობამ“ მაგრამ მუშათა კლასის და რუსეთის ბედი ასევე სულ ერთი არ არის ჩემთვის.

და სანამ ძალა შემწევს, მუდამ ჩავძახებ რუსეთის პროლეტარიატს:

—„შენ დაღუპვისაკენ მიჰყავხარ; შენით სარგებლობენ, როგორც მასალით, რომ არა ადამიანური ცდა მოახდინონ, ბელადების თვალში შენ ჯერ კიდევ არა ხარ ადამიანი!“

საქ. სოც.-ფედ. მეორე თავისუფალი კონფერენცია.

ამხ. გრიგოლ რცხილაძის მოხსენების მომენტის შესახებ ამ დღეებში დავბეჭდავთ, ხოლო დღეს ვბეჭდავთ თედო ღლონტის მოხსენებას ამავე საგანზე:

მომენტი და ტაქტიკა

საფრანგეთის დიდი რევოლიუციით 1789 წელს დამხობილ იქმნა ევროპიულ ფეოდალიზმის ბედი—საფრანგეთის ფეოდალიზმი. ევროპის ფეოდალურ-ბურჟუაზიულმა მთავრობამ განსაკუთრებით პიტის და მეტერნიხის მეთაურობით სასტიკი ზომები მიიღო, რომ საფრანგეთის რევოლიუციის რევოლიუცია გამხდარიყო მხოლოდ ნაციონალური რევოლიუცია, მაგრამ იმ დროს, როდესაც [illegible] მსოფლიო სუსტი იყო და განუვითარებელი, როდესაც კაცობრიობას მხოლოდ უატის და ხარგრივსი სადა მანქანები აოცებდნენ და არაფერი იცოდა სტეფენსონის, რკინის გზის, ტელეფონის, ტელეგრაფის და საერთოდ მძაფრი საერთაშორისო ცხოვრებისა—იმ დროსაც პიტისა და მეტერნიხის ცდა უნაყოფო გამოდგა და 1815—1817 წლიდან ბელგიის ფეოდალიზმის გახრწნა დაიწყო და მას მიყვა გერმანულ ფეოდალიზმის დანგრევაც, თანდათან ბატონ ყმობის მოსპობა.

1830 წლის საფრანგეთის ივლისის რევოლიუციამ კავშირი გაება იტალიის ინსურექციებთან, სადაც შემდეგ პრონუნსიამენტოს ქონდა ადგილი, ხოლო 1848 წლის რევოლიუციამ პარიზის ქუჩიდან ვენისა, ბერლინის და დრეზდენის ქუჩებში ნახა გამოხმაურება. 1905 წლის რუსეთის რევოლიუციამ უდიდესი გავლენა იქონია ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და საბოლოოდ დაამკვიდრა მხარეში დემოკრატიული, საყოველთაო საარჩევნო სისტემა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1917 წლის რუსეთის რევოლიუცია არ იქნება ნაციონალური რევოლიუცია. 170 მილიონ ხალხის და ორმოცზე მეტ ერის რევოლიუციის ცეცხლში გახვევა, ევროპის ერთი მეხუთედის ტერიტორიაზე რევოლიუციის ათი თვით ბობოქრობა შეუძლებელია ევროპისათვის სრულიად უმნიშვნელოდ ჩაიაროს. ეხლანდელმა სახალხო კომისრების მთავრობამ ორი მილიონი მანეთი გადასცა სტოკჰოლმში არსებულ საერთაშორისო რევოლიუციონურ კომიტეტს მსოფლიო რევოლიუციის შესამზადებლად, მაგრამ ეს მილიონებიც რომ მხედველობიდან გამოვტოვოთ, ვერავინ იტყვის, რომ თანამედროვე ომს არაფერი გამოეაშკარავებინოს იმპერიალიზმის საძაგლობისა და შეუძლებლობა ოთხი წლის ომის ბედ—თანამედროვე ფინანსიური კაპიტალი პროლეტარიატმა და ევროპის შეგნებულმა გლეხობამ ინტელიგენციასთან ერთად არ გახადოს სიძულვილის საგნად, არ იბრძოლონ ბებერ კაპიტალიზმის შესასუსტებლად და დასანგრევად. ვისთვისაც ოთხი წლის ომის სისხლს და რევოლიუციის ქარიშხალს არ ჩაუკლავს წყურვილი უდიდეს სამართლიან ცხოვრებისათვის ბრძოლისა—მისთვის შეუძლებელია არსებობდეს ორი აზრი თანამედროვე რევოლიუციის შესახებ. რუსეთის რევოლიუცია არ იყო ნაციონალური რევოლიუცია, მას თავიდანვე მრავალი ერი აწარმოებდა, ამ მხრივ ის ინტერნაციონალური იყო და ეს ფარგალი რუსეთის რევოლიუციისა კიდევ უნდა გაიშალოს. რუსეთის რევოლიუციის გაფართოვება ამ მხრივ ჯერ კიდევ მომავლის საკითხია და ვინც დაინტერესებულია, რომ თანამედროვე ზავმა იმპერიალიზმი კიდევ უფრო არ განამტკიცოს, კიდევ საშინელი წყობილება არ შეიქნეს დაჩაგრულ კლასებისა და ერებისათვის—მისთვის უწმიდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს ბრძოლა მსოფლიოს პროლეტარიატის გამოღვიძებისათვის, მსოფლიოს რევოლიუციის მოსახდენად. თუ რუსეთის რევოლიუცია მოემწყვდია მხოლოდ რუსეთის ფარგალს, რაიც ისტორიულ პერსპექტივას ეწინააღმდეგება, მაშინ რუსეთის მუშათა კლასი თავისუფლების ქადაგებაში ბორკილებს გამოსჭედს თავის შებორკვისათვის და ერების თავისუფლება ოცნებაღა იქნება.

— ჭკუა დამჯდარი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ძალიან კარგად იცნობს გერმანიის ხალხის სულიერ მდგომარეობას — კარლოს კაუცკი სწერს რევოლიუციის შესახებ. „თუ რუსეთის რევოლიუცია დამკვიდრდა მას გავლენა ექნება რუსეთს გარედაც და შეიქმნება მთელს ევროპაში ახალ ხანის სათავედ“. ვინც პოლიტიკურ დალტონიზმით არ არის გამსჭვალული მისთვის აშკარად გასარჩევია უკვე ის ცვლილებები, რომელსაც ვხედავთ რუსეთის რევოლიუციის ზეგავლენით უცხოეთის რევოლიუციონურ დემოკრატიაში. რუსეთის რევოლიუციის ზეგავლენით გერმანიის იმპერიალისტები იწყებენ ახალ, დემოკრატიულ ჰანგზე ლაპარაკს და გრაფი გერტლინგი თანახმაა პრუსიის რეაქციონური საარჩევნო სისტემა შესცვალოს დემოკრატიულ უფლებით, ხოლო ქვეყნად განამტკიცოს მტკიცე პარლამენტარიზმი, ელზას-ლორენს მიანიჭოს ავტონომია, სოციალისტურ წრეებში აღსანუსხავია ჯგუფის—„სპარტაკის“ საოცარი გაზრდა, რომელსაც ამ ბოლო დროს მიემხრო გერმანიის დამოუკიდებელი სოციალისტები. ეს რევოლიუციონური ორგანიზაციები მოქმედებენ მუშებში, ჯარში, მატროსებში და იბრძვიან გერმანიაში რევოლიუციის გასაჩაღებლად. საფრანგეთში რევოლიუცია ეხლა მუშებს მიაჩნია ნაციონალურ არსებობის აუცილებელ პირობად, ვინაიდან ვილჰელმის ზავი დაღუპავს საფრანგეთს, ხოლო ლიბკნეხტის ზავი—საფრანგეთის ჭეშმარიტ თავის[illegible] იქნება. საფრანგეთის სინდიკალისტები [illegible] და სტოკჰოლმიდან ახალებენ რევოლიუციის ცეცხლს. დანიაში სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის მოწვევა, ხოლო ავსტრალიაში ოქტომბრის განმავლობაში უმაგალითოდ გავრცელდა მრეწველ მუშებში გაფიცვა, სადაც მუშები ეხლანდელ ომს ეუქებოდნენ და დაჟინებით ამტკიცებდნენ ევროპის კაპიტალისტების მოჰქვიანებას“. მეტის მეტად საგულისხმიერო ის მოვლენაა, რომ ამერიკაში, სადაც საზოგადოდ მუშათა მოძრაობა სუსტი იყო ამ იმისა და რუსეთის რევოლიუციის წიაღში დაარსდა „მსოფლიოს მრეწველ მუშების კავშირი“, რომელიც ავსტრალიის მუშებივით მოითხოვს „კაპიტალისტების მორჯულებას“. გაითვალისწინეთ ამავე დროს პოლიტიკური კრიზისი ავსტრია-უნგრეთში, საფრანგეთის და იტალიის კაბინეთის შეცვლა. დიდი მოძრაობა ისპანიასა და პორტუგალიაში და არ შეიძლება არ დაეთანხმოთ კაუცკის, რომელიც გვიმტკიცებს, რომ რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებას დიდი ადგილი დაურჩება ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარიატის შორის. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, როგორც ჭეშმარიტი ინტერ-ნაციონალური და რევოლიუციონური პარტია მხარს უჭერს რევოლიუციის გავრცელებას ევროპაში, მსოფლიოში და ყოველის საშუალებით შეეცდება დაეხმაროს საამისო ნაბიჯებს, ვინაც არ უნდა გადადგას იგი ნაბიჯი, დარწმუნებული, რომ მსოფლიოს რევოლიუცია ნაციონალურ რევოლიუციათა გამარჯვების აუცილებელი პირობაა.

ინტერნაციონალურ ხასიათს გარდა რუსეთის რევოლიუციამ სოციალურ რევოლიუციის ხასიათიც მიიღო. საზოგადოებაში ხშირად ხმარობენ გამოთქმას: პოლიტიკური რევოლიუცია, სოციალური რევოლიუცია. სოციალისტურ-ეკონომიური რევოლიუცია. კარლოს კაუცკი ასეთ კლასიფიკაციას მოგვახსენებს: დემოკრატიული რევოლიუცია. სოციალური რევოლიუცია. ორივე კლასიფიკაციის დროს პოლიტიკური და დემოკრატიული რევოლიუცია არ არის მარტო მშრომელ ხალხის საქმე, დემოკრატიულ ცვლილებებს ხშირად უჭერს მხარს ბურჟუაზიული ნაწილი გლეხობისა, წვრილი ბურჟუაზია. ზომიერი ინტელიგენცია და სხვა და სხვა ნაწილი ანტი-სოციალისტური დასისა. ეს საფეხური განვლეთ თანამედროვე რევოლიუციის პირველ ოთხ თვეში და ჩვენ, როგორც სოციალურ რევოლიუციის მესვეურები მოვალენი ვართ ხელი შეუწყოთ ისეთ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების შექმნას, რომ განვლილი დემოკრატიული რევოლიუცია კვლავ არ გაგვიხდეს ბრძოლისა და ოცნების საგნად.

(შემდეგი იქნება)

ძველი წეს-წყობილება და რევოლიუცია

(დასასრული *)

ზემო ხსენებული ორი მომენტი: ცენტრისკენ და ცენტრისაგან მსრბოლ ძალებისა, რუსეთში ზედმეტად არის გაძლიერებული. ერთა სიმრავლე, რომელნიც ცენტრისგან მსრბოლ ძალას წარმოადგენენ, და პირობები, რომელნიც ცენტრისაკენ მიეშურებიან, აი ეს ორი კიდე შეთანხმებას საჭიროებს. წინ [illegible] ამ გვარი დილემა ისმება: ან რუსეთში უნდა სასტიკი ცენტრალიზმი გამეფდეს, რომ შესძლოს ადგილობრივ სხვა და სხვაობის დაჩრდილვა, (მაშასადამე მოისპობა სწორ-უფლებიანობის პრინციპი.) ან და რუსეთის სახელმწიფო უნდა დაინგრეს, და ყველა შემადგენელ ერმა ცალკე იწყოს არსებობა. და აი აქ ჩვენ მივადექით ეროვნულ საკითხს, რომელიც ასე მტკივნეულად არის წამოყენებული ევროპაში საზოგადოდ, და რუსეთში განსაკუთრებით. როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციის თვალსაზრისით ვარკვევთ ეროვნულ საკითხს, საფუძვლად ამ რკვევას უნდა დაუდოთ ის პოლიტიკური იდეები, რომელზედაც არის დამყარებული პოლიტიკური მნიშვნელობა ამა თუ იმ მმართველობისა. დღევანდელი სახელმწიფონი როდი წარმოადგენენ ბუნებრივ რამ ორგანიზმს. დღეს არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა სხვა და სხვა ერთაგან შესდგება, როგორც მაგ. რუსეთი, ინგლისი, ავსტრია, გერმანია, ისპანია, ბელგია, შვეიცარია, ოსმალეთი და სხ.. და ყველა ამ სახელმწიფოებში სწარმოებს შინაგანი ბრძოლა ერებისა, რომელნიც სცდილობენ თავის განთავისუფლებას, და ეროვნულ სახელმწიფოს იდეალებს ჰქმნიან: ისე რომ დღევანდელ სახელმწიფოთა საფუძველი ვერ არის მტკიცე. უნდა მოხდეს სრული გარდაქმნა არსებულისა. დღევანდელი სახელმწიფოები „ხელოვნური“ რამ შეკოწიწებაა, და აკი მიტომაც ძლიერდება მიდრეკილება ბუნებრივ დანაწილებისაკენ. ერი, აი რა უნდა იყვეს სახელმწიფოს ნამდვილი გამოხატულება. მიტომაც ეროვნული მოძრაობა, დღეს ჩვენ თვალწინ ასე დიდ მასშტაბით გადაშლილი არის დღევანდელ უსამართლო სახელმწიფოთა ცხოვრების დამთრგუნველი. ამ საკაცობრიო ეროვნულ მოძრაობამ უნდა დაუდოს სათავე იმ საერთაშორისო სამართალს, რომელზედაც კარგი ხანია ოცნებობენ, და რომელიც დარაჯად უნდა ექმნეს ცოცხალ ერებს, მათ ინდივიდუალობის შესარჩენად და გასავითარებლად. ნამდვილი ინტერნაციონალი მხოლოდ მაშინ შეიქმნება. ამბობენ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ხალხი ერთ სახელმწიფოდ ისტორიამ შეაერთაო, მაგრამ ეს თქმა სულ უშინაარსოა. დაპყრობა, დარბევა, ძალით გადაგვარება, მზაკვრობა—ყველა ეს ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ განა ამით შეიძლება მათი გამართლება, ან და ბუნებრივობის დამტკიცება? ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა კი განა ისტორიის მიერ არ არის წარმოშობილი? და რომელი ისტორია არის უპირატესობის ღირსი? ამ საკითხზე იმპერიალისტ—„ისტორიკოსებმა“ აგონ პასუხი, დღევანდელ სახელმწიფოს იდეოლოგებად რომ გამოდიან, მე კი განვაგრძობ, რომ ერისა და სახელმწიფოს შორის არსებულ ისტორიულ შუღლს მხოლოდ ის მოსპობს, რომ ყველა ერი გამოცხადდება სწორ-უფლებიანად, და თავისუფალ თანხმობით შეუკავშირდებიან ერთმანეთს. ამას მხოლოდ ერთად ერთი საშუალება მოიქმედიბს, სახელდობრ ფედერაცია. დღეს ხომ პიროვნების უფლებათა დეკლარაციას ვაცხადებთ. და სწორედ ფედერაცია არის ამის საუკეთესო შემსრულებელი. იგი ერთა სწორ-უფლებიანობაზე უნდა იდგეს დადგენილი, და ერი ხომ დედაა პიროვნებისა, ამ უკანასკნელის თავის სებურობის შემქნელი. მაშ პიროვნების სახელით უნდა მოხდეს დღევანდელი გარდაქმნა. რუსეთიც, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო, სხვა წვრილ ერთა ხარჯზე გაზრდილი, და როგორც სხვავე ფეხ ქვეშ სთელავდა ერთა ინდივიდუალობასაც და მათ უფლებებსაც დღეს ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ. და თუ გვსურს ჩვენი ვინაობის დაცვა, სამართლიანობის განმტკიცება, თუ რუსეთის დემოკრატიული მისწრაფება ფიქცია არ არის იმპერიალიზმის საფარავი, უნდა მოვახდინოთ ერის უფლებათა სრული განხორციელება, რადგან უამისოდ თავისუფლება მკვდარი იქნება. ის დევიზები ერთობისა, თანასწორობისა და თავისუფლებისა, რომელნიც დღეს არიან გამოფენილნი, უამისოდ ჩვენი გონებრივი სიმდაბლის და ზნეობრივი სილატაკის მაჩვენებელნი იქნებიან და ჩვენი სოციალისტობა კი, ინტერნაციონალიზმისკენ რომ მიისწრაფვის, ხომ შოვინისტ-იმპერიალისტურ რამ მიმართულებად იქცა, თუ დღევანდელ სახელმწიფოს არ დაშლის, და ერთა განთავისუფლებას არ აღიარებს? ერთა დაშლა, ერთა გათქვეფა, მარქსი რომ ჰქადაგობდა ინტერნაციონალის სახელით, ბოლოს იმპერიალიზმით დასრულდება. მისი საუკეთესო მიმდევრები დღეს იმპერიალისტთა ბანაკში არიან, შოვინისტურ გუნებაზე დამდგარნი. დღეს იდეოლოგიური მეტამორფოზა მოხდა. გუშინ ერთა უფლებების მგმობელებმა, დღეს პირი მოიბრუნეს და ერებს განთავისუფლებას ჰპირდებიან. მაგრამ ეს დაპირება ლიბერალთა სურვილებს დაემსგავსება, თუ დანაპირს ღირსეული ფორმა არ მოუძებნეს. დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ იქნება ნამდვილად დემოკრატიული, თუ იგი ცენტრალისტურ სისტემაზე იქმნა აშენებული. შეიძლება წვრილ ერებს თვითმართველობაც მიეცეთ, მაგრამ ეს გათანასწორებას კიდევ არ ნიშნავს, რადგან სუვერენობა, მეუფება კიდევ სხვას რჩება. მანც რიცხვით ყველაზე მეტი ერი, ე. ი. ველიკოროსები იქნებიან უპირატესნი. ხოლო სადაც უპირატესობაა, იქ რა უნდა დემოკრატიზმს ან თანასწორობას? ცენტრალისტური რესპუბლიკა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, მაინც ერთ ერის, სახელდობრ რუსების გაბატონების პოლიტიკური ფორმაა, და სხვა ერთა ნახევრად განმათავისუფლებელი. იგი მაინც ერთ გვარ იმპერიალიზმს შეიცავს, რომელსაც ეშინიან გავლენის და ბატონობის დაკარგვისა. ეს ფორმა, როგორც ნაკლებ დემოკრატიული და უფრო იმპერიალისტური, მიუღებელია, და დღეს როცა მეტი თავისუფლების მიღება შეიძლება, ნაკლების მოთხოვნა უგუნურება იქნება წვრილ ერთა მხრივ ხოლო რაც შეეხება სოციალისტურ პარტიას, ამ ცენტრალიზმის ქადაგება და ერთობის დროშის ქვეშ დგომა, ეს სოციალისტ-იმპერიალისტობაა, თუ ამ ორ ცნებას შეადუღებს ვინმე. მხოლოდ ფედერალიზმი იხსნის რუსეთს. მხოლოდ დემოკრატიულ ფედერატიული რესპუბლიკა, რადგან იგი შეიცავს სრულ გათანასწორებას რუსეთში მოსახლე ერებისას, ამ გვარ რესპუბლიკაში ვერც ერთი ვერ გაბატონდება, რადგან ცალკე არც ერთ ერს არ ექნება სრული სუვერენობა, ერთა კავშირი, აი მთავარი მოწესრიგებელი საერთო, სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ცენტრალისტურ რესპუბლიკაში მხოლოდ მოქალაქე იქნება სწორ-უფლიანი, როგორც მოქალაქე; ხოლო უფლება შეკვეცილი იქნება როგორც ამა თუ იმ დაჩაგრულ ერის წარმომადგენელი. მაგ. ქართველი როგორც მოქალაქე თავისუფალი იქნება, მაგრამ როგორც ქართველი—არა, რადგან საერთო სახელმწიფო საქმეში იგი როგორც ქართველი ერის წარმომადგენელი სწორ მონაწილეობას ვერ მიიღებს. რატომ? მიტომ რომ პროპორციული წარმომადგენლობა ქართველის მცირე ხმას გარიყავს და უმრავლესობას დაუმორჩილებს. უმრავლესობა წარმომადგენლებისა კი დიდ ერს ეყოლება. რა გამოვა აქედან? ის რომ, ქართველი მუდამ სხვის ხელში უნდა იყვეს შემაცქერალი. ეს ჩვენ კარგს არას გვპირდება.

ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი მოქალაქე სწორ უფლებიანია როგორც მოქალაქეც და როგორც ამა თუ იმ ერის წევრიც, რადგან აქ ყველა ერი სწორ-უფლებიანად ცხადდება. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლო ნამდვილი კავშირი. მხოლოდ ამით დაგვირგვინდება რევოლიუცია ღირსეულად. ეს ფორმა დიდად შეუწყობს ხელს სოციალურ უსამართლობის მოსპობასაც. რევოლიუცია ხომ ყოველთვის პოლიტიკურ დროშის ქვეშ გამოდის, მაგრამ იცვლება რა წყობილება, ამასთანავე იცვლებიან სოციალური დამოკიდებულებანიც. და აკი დღის დაიწყო კიდეც ცვლილება სოციალურ ცხოვრებისა. 8 საათის სამუშაო დღე ქალაქის მუშისთვის, ხელფასის მომატება და სხ.., მიწის საკითხის დემოკრატიული გადაჭრა სოფლის მუშისთვის, აი დღევანდელი ე. წ. პოლიტიკურ რევოლიუციის სოციალური შემოქმედება.

რაც შეეხება ქალაქის მუშას, აქ ყველა სოციალისტური პარტიები თანხმდებიან ჯერ-ჯერობით, ხოლო სოფლის საკითხი მეტად ძნელად არის მიჩნეული. რუსეთის გლეხობამ შეიგნო თავისი მდგომარეობა, ნახა მიზეზი თავისი დუხჭირი მდგომარეობისა და მიწის სოციალიზაცია მოითხოვა.

ჩვენში კი გლეხობა შესცდა, როცა თავზე მოხვეულ მუნიციპალიზაციის მხარი დაუჭირა. ვერც სოც.-დემოკრატების მუნიციპალიზაცია, ანუ იჯარა და ვერც ე. წ. ნაციონალ დემოკრატების ბურჟუაზიული წესი მიწის გამოსყიდვისა ვერ მოსპობს მიწაზე უსამართლობას. სოც.-დემოკრატების მიზანი, რომ მიწა ყველას უნდა ეკუთვნოდესო, როდია მისაღები, რადგან ამ ყველაში არა მიწის მუშაც ერევა, რომელიც მხოლოდ დაბან-

---

*) იხ. „სახ. საქმე“ № 141

6 იანვარს დილით დაწყებული მეორე თავისუფალი კონფერენცია საქართველოს სოციალის-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა—დამთავრდა 9 იანვარს, ნაშუადღევის 5 საათზე. როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული—ამ ხნის განმავლობაში მოსმენილ იქნა რამდენიმე მოხსენება და გამოტანილ იქნა რეზოლუციები მომენტის თაობაზე და მიწის საკითხზე. ეს რეზოლუციები და სხვა გადაწყვეტილებანი კონფერენციისა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება.

დასასრულ მოხდა არჩევნები მთავარ კომიტეტისა. აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე, შალვა მესხიშვილი, სამსონ დადიანი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, აკაკი პაპავა, თედო ღლონტი, ოსიკო ბარათაშვილი, მიხეილ საყვარელიძე, ერასტო ტოროტაძე, დიმიტრი უზნაძე, იოსებ გედევანიშვილი და შალვა მიქელაძე.

ყრილობას დაესწრო 140 დელეგატი, რომელთაც ირჩევდნენ ასზე თითოს.

სერენადა

შვების ბაღში ვერ მოგიკრეფ ტუჩშეკუმშულ ვარდის კონებს.
ვერ მოგხიბლავ სონეტებით, ვერ გიმღერებ ცელქ სტრიქონებს.

არ ვარ მძლავრი. ჩემმა ლექსმა მტრისა შური ვით იძიოს,
როცა ისეც ვერ ვენდობი თვით უწყინარ ვარდის სიოს?

ვერც მნათობებს დაგპირდები—მე არა ვარ მეფე სივრცის,
სკიპტრით ხელში არ განვაგებ არც ერთ კუთხეს ცის და მიწის.

მე ვარ მხოლოდ დიდ მსოფლიოს პაწაწინა მიწის შვილი,
ხან ნიავზე მობუზული, ხან მზის სხივზე გადაშლილი.

მე ცამ მომცა წრფელი გული, გრძნობა—წმინდა, ზნე—კეთილი
და მაკმარა მე სიცოცხლე ხანმოკლე და გაცვეთილი.—

და ამასაც,—შემოგფიცავ საქართველოს ვაზის ჯვარზე
მხოლოდ შენ ერთს შემოგწირავ თუ არ გამცვლი ხვალ სხვა ქალზე.

მარიჯან

ზავის გარშემო

ინგლისის საზავო პირობები.

(ლლოიდ ჯორჯის სიტყვიდან)

ქრისტეშობისთვის 23, ინგლისის პრემიერ მინისტრმა, ლლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში მთავრობის სახელით ომის მიზნების შესახებ შემდეგი განაცხადა: გერმანიის ერს ჩვენ ვებრძვით არა ვნების მისაყენებლად. გერმანელების ამოწყვეტა და გერმანიის აოხრება ჩვენ არასოდეს არ დაგვისახავს მიზნად. მთლად მოუმზადებელნი ამ ომისთვის, ჩვენ იძულებულნი გავხდით ჩავბმოდით საკუთარ და კაცობრიობის კანონების ხელშეკრულებებით მიღებულ ვალდებულებათა დასაცავად, რომლებიც გათელეს გერმანელებმა ბელგიაში შემოსევით.

ნუთუ ჩვენ უნდა ხელ გაუნძრევლივ გვემზირა, თუ როგორ ლახავდა უხეში ძალა კაცობრიობის უფლებებს და საერთაშორისო კანონებს?

ჩვენ არასოდეს აზრად არ მოგვსვლია შევცვლებოდით გერმანიას იმ სახარბიელო მდგომარეობაში, რომელიც მან მოიპოვა ქვეყანაზე, მაგრამ ჩვენ გვსურდა დაგვერწმუნებინა გერმანია, რომ მილიტარიზმით ბატონობის მოპოება უარ ეყო.

ჩვენ არ განგვიზრახავს ავსტრია უნგრეთის შემუსვრა. ჩვენ აზრად არ გვქონია ოსმალეთისათვის კონსტანტინეპოლი და მცირე აზიაში და ფრაკიაში უმეტესად ოსმალთაგან დასახლებული მდიდარი ადგილები წაგვერთმია. ჩვენ არ ჩავებმულვართ ომში არც იმისთვის, რომ შევცვალოთ გერმანიის იმპერიალისტური კონსტიტუცია; თუმცა მას ჩვენ მე-20 ე საუკუნის საშიშ ანაქრონიზმად ვთვლით.

ჩვენის აზრით გერმანია ჭეშმარიტ-დემოკრატიულ კონსტიტუციის მიღებით დაამტკიცებდა თავის კეთილ სურვილებს და მასთან მაში დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებაც გაადვილდებოდა. მაგრამ ეს თვით გერმანიის ერმა უნდა გადასწყვიტოს.

მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ შეჰკითხვიან თვით ნეიტრალური სახელმწიფონიც კი ომის მიზნების შესახებ ცენტრალურ სახელმწიფოებს ან ცივ სიჩუმით უპასუხნიათ ან და სწორი განმარტება არ უღირსებიათ ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხის შესახებაც კი, როგორიც არის ბელგიის საკითხი. გერმანიის უკანასკნელ საზავო პირობებში ვკითხულობთ, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში უარს არ განაცხადებს თავის ახალშენებზე.

თუ თვითეული ეროვნება ყოველივე ღონეს არ იხმარს ეროვნულ პატიოსნების დასაცავად,—ნათელია, საზავო ხელშეკრულება იმ ქაღალდათაც არ ეღირება, რომელზედაც იგი დაიწერება, ამიტომ პირველ საზავო პირობათ ინგლისი და მისი მოკავშირენი აყენებენ:

1. ბელგიის სრულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის აღდგენას და ამ ძლებისამებრ შემუსრულ ქალაქების და პროვინციების ზარალის ანაზღაურებას.

2. სერბიის, მთაშავეთის და მტრის მიერ დაპყრობილ საფრანგეთის, იტალიის და რუმინიის ნაწილების აღდგენას.

3. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ არ ვუღალატოთ საფრანგეთის დემოკრატიას, რათა წარვხოცოთ 1871 წელს ჩადენილი უსამართლობა, რომლითაც საფრანგეთის ორი პროვინცია გერმანეთს შეუერთდა. ვიდრე ეს დანაშაული არ გამოისყიდება, შეუძლებელი იქნება ნორმალურ პირობების აღდგენა.

4. ჩვენ არ განვიხილავთ გერმანელების მიერ დაპყრობილ რუსეთის ადგილების საკითხებს და არ შევეხებით მათ გადაწყვეტას, იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ გერმანიამ რუსეთში დაპყრობილი მდიდარი ოლქები და ქალაქები დასთმოს. დღეიდან ეს პროვინციები პრუსიის შემადგენლობაში შევლენ და მათ გამგედ გერმანიის დაჯავშნული მუშტი იქნება, რუსეთის დანარჩენი მცხოვრებნი, კი ზოგი მყვირალა ფრაზების ზეგავლენით, ზოგიც ომის გაგრძელების შიშით დარჩება გერმანიის ჯერ ეკონომიურ და შემდეგ პოლიტიკურ მონობაში.

5. ჩვენ, როგორც ამერიკა, საფრანგეთი და იტალია, მზად ვართ ხელი ხელ ჩაკიდებულმა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ვიბრძოლოთ, მაგრამ, თუ რუსეთის ეხლანდელი მმართველები ჩვენგან დამოუკიდებლათ იმოქმედებენ, ჩვენ ვერ შევძლებთ იმ კატასტროფის აცილებას, რომლისკენაც მიექანება რუსეთი. მას მხოლოდ თვით რუსეთის ერი იხსნის. ამისდა მიუხედავად ჩვენ გვწამს, რომ დამოუკიდებელი პოლონეთი, რომელიც გააერთიანებს ყველა ნამდვილ პოლონურ ელემენტებს, საჭიროა აღმოსავლეთ ევროპის პირიანობისათვის.

6. ჩვენც ვეთანხმებით პრეზიდენტ ვილსონს, რომ არ არის ჩვენი მიზანი ავსტრიის დანაწევრება, მაგრამ გვგონია, რომ თუ ავსტრია-უნგრეთის ყველა ერებს ჭეშმარიტი დემოკრატიული თვითმართველობა არ მიენიჭათ—ევროპის ამ ნაწილის მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება.

7. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე იტალიელების სამართლიან მოთხოვნილებათა და კმაყოფილებას.

8. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე რომ დაკმაყოფილებულ იქნენ რუმინიელ ერის სამართლიანი მოთხოვნილებანი.

9. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სრული ეროვნული დამოუკიდებლობა მიენიჭოთ არაბეთს, სომხეთს და მესოპოტამიას.

10. რაც შეეხება გერმანელთა ახალშენებს,—მე არა ერთხელ მითქვამს, რომ მათი ბედი კონფერენციის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. კონფერენციამ კი უპირველეს ყოვლისა ახალშენებში ძირეულ მობინადრე ერების სურვილებს უნდა გაუწიონ ანგარიში.

11. სასურველია და აუცილებელიც, რომ ზავის პირობები არ დარჩეს ომის ნასახი, რათა შემდეგ პირიანი ზავი მეფობდეს.

12 სამართლიან და პირიან ზავზე იმედები მაშინ უნდა ვიქონიოთ, თუ შემდეგი სამი პირობა იქნება მიღებული:

1. უნდა აღდგენილ იქმნენ ყველა დარღვეული ხელშეკრულებანი.

2. ტერიტორიალური საკითხი უნდა გადასწყდეს თვითგამორკვევის საფუძველზე და მმართველთა თანხმობით.

3. ჩვენ უნდა შევქმნათ რაიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც გაადვილებს ომის სიმძიმეთ. ბრიტანიის იმპერია სალამს შესძღვნის ამ პირობებზე შეკრულ ზავს. ამ პირობების მისაღწევად ბრიტანიის ერი არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება.

დებს მიწას, და ავი ძაღლივით არც თითონ შეჭამს და არც სხვას შეაჭმევს გემრიელად. შემდეგ: სოც.-დემოკრატების მუნიციპალიზაცია წმინდა ბურჟუაზიული რამ საშუალებაა, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხთა გაღატაკებას, პროლეტარიზაციას, რაც ჩვენი პირობებისთვის ყოვლად მიუღებელია. ამის წინააღმდეგ უნდა აღსდგეს ყოველი გონიერი მიწის მუშა. ამ უკანასკნელთათვის ხელს-საყრელი მხოლოდ ის მოძღვრებაა, რომელმაც თავის დროშაზე დაწერა „მიწა და თავისუფლება“ და „მიწა მიწის მუშას“-ო, ეს დროშა სოციალისტ-ფედერალისტებისაა, რომელთ მოძღვრების ყოველი მუხლი ხორციელდება დღეს რევოლუციის მიერ. სოც.-ფედერალისტების პარტია იყო ჩვენში პირველად სოციალისტური და ეროვნული დროშა რომ ააფრიალა. იყო დრო, რომ ეს პარტია იდევნებოდა სოც.-დემოკრატების მიერ, და იდევნებოდა ეროვნულ საკითხის გამო, მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა, და დღეს ყველა პარტია იმას აღიარებს, რაც სოც. ფედერალისტთა პარტიამ სთქვა ამ 15 წლის წინად. მიწის საკითხი, რომ მიწა უნდა ეკუთვნოდეს მიწის მუშასო,—ეს ხომ რუსეთში უმრავლესობის მიერ მიღებულია; ფედერაციის საკითხიც კარგ პირობებშია. ამას მოითხოვენ წვრილი ერები და რუსეთის სოც. რევოლუციონერთა დიდი პარტია, ალბად ეს საკითხიც სასურველად გადასწყდება. ჩვენც აქეთ უნდა წარვმართოთ საკუთარი ძალა და ენერგია. ჩვენ ხომ ამ რევოლუციაში ჩართულნი ვართ არა უსახოდ, არამედ როგორც ქართველობა, ასევე უნდა ვცდილობდეთ რევოლუციის გამაგრებას და განმტკიცებას. მაგრამ ეს ჩვენი საკუთარი ინტერესების დავიწყებას როდი გვავალებს. საერთო საქმეს, ჩვენი შინაური ინტერესები როდი უნდა შევწიროთ. ჩვენ ფხიზელ დარაჯად უნდა ვუდგეთ ჩვენს ქართველობასაც, ჩვენს დაჩაგრულ ვინაობას. რაც ზემოდ ვთქვი, ის სასურველია, მაგრამ შეიძლება ჯერ ვერ განხორციელდეს წესიერად, რადგან ძველი რეჟიმისგან ძლიერ არის მოწამლული საზოგადოების სული. თვით უკიდურესი მემარცხენენიც კი, გულის სიღრმეში რაღაც „დიდი რუსეთის“ ოცნებას ეალერსებიან, და ერის სამართლიან წადილს ჯავშნიან მუშტითაც კი ემუქრებიან. ხომ გახსოვთ, რომ თვით ჩვენც, საქართველოში ავტონომიის ხსენებაც კი აგვიკრძალეს 5 აპრილის დეკრეტით. ვერ გაიგეს უბრალო რამ ჭეშმარიტება, რომ ჩვენ არავის შევეპუებოდით, ჩვენი სამართლიანი წადილის გამომჟღავნებაში. ვერ გაიგეს, რომ ვერავინ ვერ აგვიკრძალავდა ჩვენ ეროვნულ წყლულებზე საუბარს. ვერ გაიგეს იმ ერის ტრაგედია, რომელმაც თავის ტანჯვით შექმნა ძლიერებით მშვენიერი ლეგენდა მიჯაჭვული ამირანისა. კარგად გვახსოვს, რომ დიდი ხანია, რაც უცხოელი არგონავტები ჩვენსკენ მოისწრაფიან ოქროს ვერძის მოსატაცად. მაგრამ საქართველოს ოქროს ვერძი ამირანის ცეცხლით დაიცვა, არავის დაანება. უსიკვდილოდ ვერც ჩვენ დაუთმობთ სხვას. ეს ოქროს ვერძი კი, საქართველოს თავისუფლებაა.

ჩვენ, ქართველებმა რევოლუციის საკურთხეველზე სხვაზე ბევრი მსხვერპლი მივიტანეთ. რუსეთის რევოლუციას, ჩვენ, ჩვენი ქართულ-აზიური ხალისიანობით და ტემპერამენტით ვალამაზებდით, და მაშ უფლებაც გვაქვს მოვითხოვოთ ჩვენი წმინდა უფლებები. ქართველი ერი ძველი მთავრობის პატიმარი იყო, რასაკვირველია პოლიტიკური. პოლიტიკურთა ამნისტია გამოცხადებული იყო ამ 5 თვის წინად. იგი ჩვენც უნდა შეგვეხოს, ჩვენც უნდა გავთავისუფლდეთ. ლამაზია რუსეთის რევოლუცია, წმიდაა იგი, მაგრამ თუ მან ჩვენი, ქართული უფლებების დათრგუნვა მოისურვა, ჩვენ პირველებმა უნდა დავგმოთ იგი, არ მივიღოთ, და სტოლიპინთა მემკვიდრეებად გამოვაცხადოთ ჩვენი პოლიტიკურ თავისუფლების მოწინააღმდეგენი. ჩვენ მათ შევებრძოლებით.

მთელი მსოფლიო რომ აღსდგეს, ჩვენ, ჩვენ ქართველობაზე უარს არ ვიტყვით, და ვერც ჩვენ სამართლიან უფლებებს მოგვხსნით დღის წეს-რიგიდან, ვერ გაგვჩუმდებით. ჩვენ გვსურს საქართველოც აღსდგეს თავისუფალი და გვერდში ამოუდგეს სხვა ერებს, როგორც სწორ-უფლებიანი. ჩვენ გვსურს საკაცობრიო ოჯახში, ინტერნაციონალში, ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ერი შევიდეთ, წინააღმდეგ ჩვენ პირველი ვესვრით ნაღმს იმ შენობას, სადაც ჩვენი ქართველობა შელახება სხვების მიერ. სწორ-უფლებიან ერთა თავისუფალი კავშირი—აი ჩვენი საბოლოო მიზანი. აქეთკენ მიდის ისტორიაც.

ვახ. კოტეტიშვილი.

მეორე რევოლუცია

ბოლშევიკები ციმბირში.

უკანასკნელი ცნობებით ირკუტსკში ზაბაიკალის ყაზახები იუნკრებთან ერთად იბრძვიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, ბოლშევიკებმა შეიპყრეს 125 იუნკერი და მუსიკით წაიყვანეს მე-12 პოლკის ყაზარმებში. ბრძოლა გრძელდება: ისვრიან თოფებითა და ტყვიისმფრქვეველებით, ქუჩებში მრავალია დახოცილთა გვამი. მებრძოლები სახლებში დაბინავდნენ და იქიდან აწარმოებენ სროლას, ყველა დაწესებულება გაფიცულია, მათ შორის ბანკები, ხაზინა და ფოსტა-ტელეგრაფი. რკინის გზის კომიტეტი ნეიტრალურ პოზიციაზე სდგას.

გაზეთის დახურვა.

ციმბირში ბოლშევიკებმა დახურეს სახალხო სოციალისტების ორგანო „გოლოს ნაროდა“.

იაპონელები ციმბირში.

ვლადივოსტოკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონელები დიდის ენერგიით აძლიერებენ კოლონიზაციას აღმოსავლეთ ციმბირში. იაპ. კაპიტალისტები იძენენ კერძო მრეწველთა მაღაროებს და იჯარით იღებენ სამრეწველო დაწესებულებებს- ზეიაში მოვიდა იაპონელ ინჟინერთა ჯგუფი ფრანქელის მაღაროების სასყიდლად. როდესაც ადმინისტრაცია ადგილის ტოპოგრაფიას აცნობდა, ის განცვიფრებული დარჩა, როდესაც იაპონელებს უპასუხეს, რომ ეს ზედ-მეტია, ჩვენ ყველაფერი ვიცითო.

ბოლშევიკები ხარკოვში.

ბოლშევიკების მდგომარეობა ხარკოვში განმტკიცდა. თავის გაძლიერებას ბოლშევიკები იმით ხსნიან, რომ მათ მოახერხეს მემარცხენე უკრაინელების თავის მხარეზე გადაბირება.

რბევა კავკასიის ფრონტზე.

ცნობები მოვიდა, რომ არზრუმსა, ტრაპიზონსა და გუმბრში მრავალი საწყობი დაარბიეს და დასწვეს ჯარის-კაცებმა.

ომი

არაბეთში.

არაბებმა ბრიტანიის ჯართან ერთად დაიკავეს ელ—ტეფილე, რომელიც მორკზე 34 ვერსტით არის დაშორებული ჩრდილოეთით. ჩაიგდეს აგრეთვე მისი გარნიზონი 80 ოსმალო ჯარის-კაცისაგან შემდგარი.

იტალიაში.

მტრის მოქმედება ძალიან შეფერხებულა, რადგან ის ამ ჟამად მდინარე პიავეს შესართავშია დაბანაკებული და მდინარე კი ამ რაიონში გადიდებულია.

გერმანიის ჯარი.

გერმანიის ჯარის მდგომარეობა ამ ჟამად შემდეგია: საფრანგეთის ფრონტზე 165 დივიზიაა, იტალიის 6, ხოლო რუსეთის ფრონტზე 67 დივიზია.

ოსმალეთის ფრონტზე.

კავარმიაში, 1 იანვარს ოსმალებთან გამართულ სროლაში ვოლისთან დაიჭრა კომენდანტი პორ. სალნიკოვი. დაჭრილია აგრეთვე საქმის მწარმოებელი ანისიმოვი, 3 ჯარის-კაცი და მწერლის ცოლი. 2 იანვარს მე-123 საარტილერიო დივიზიის მზვერავი რაზმი სანაპიროებით გაემგზავრა ელეუბან პლატანამდე, ხოლო შარლი—ბაზარსა და ფოლისთან ოსმალებმა სროლა აუტეხეს. სროლის დროს დაიჭრა ადიუტანტი პორუჩიკი ცრუბნიკოვი. მზვერავების სიტყვით, ოსმალებს ტანისამოსს ქვეშ ტყავის ჩანთები აქვსთ, პატრონტაშები და თოფები.

ახალი ამბავი

◆ **ბონების დამზადებაში** ქალაქთა კავშირი მხურვალე მონაწილეობას იღებს, რადგან მის ინტერესებთან მჭიდროდ არის დაკავშირებულ ბონების გამოცემა. ვინაიდან მოსამსახურენი ეს რამდენიმე თვეა უჯამაგიროდ სხედან.

◆ **კავკავის ამბების გამო** ამიერკავკასიის კომისარიატმა აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ კავკავში გ. ი. ჯაფაროვის მეთაურობით იგზავნება საგანგებო დელეგაცია თერგ-დაღესტნის და თერგ-სამხედრო მთავრობათა დასახმარებლად წესიერების აღსადგენად. ვინაიდან ამ დელეგაციაში შედიან ყველა ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენელნი, კომისარიატი სთხოვს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავის წარმომადგენელიც დანიშნოს ამ საბჭოში.

◆ **ქართული კონცერტი.** 13 იანვარს, შაბათს საღ., ნაძ ლადევის თეატრში, ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშათა მომღერალი გუნდი ბ. გიორგი სვანიძის ხელმძღვანელობით გამართავს ქართულ კონცერტს. კონცერტის დაწყებამდე ადგილობრივი სცენის მოყვარენი წარმოადგენენ „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება** ამიერ კავკ. კომისარიატმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვანი ტფ. სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლებისა წარდგენილნი საქართველოს საქათალიკოსო მიერ.

◆ **ტფ. სახაზინო პალატა** აუწყებს სახლის პატრონებს მთავრობის და საზოგადოების დაწესებულებებს კერძო დაწესებულებებს და სხვა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათ, რომ განცხადებების მიღება მე-17-ე, 19, და 21 №№ 1 ფორმით გაგრძელებულია თებერვლამდე. საჭირო ბლანკების მიღება შეიძლება სახაზინო ინსპექტორთა კანცელარიებში.

◆ **ყარაიაზის ნაწილიდან** 400 რუსი ლტოლვილი ჩამოვიდა ტფილისში.

◆ **მაჰმადიანთა საღამო,** რომელიც ახალ კლუბში გაიმართა 9 იანვარს, ბრწყინვალედ ჩაიარა, როგორც მოწყობის, ისე მატერიალური მხრივ. საღამომ გათენებამდე გასტანა.

◆ **რუს მოხალისეთა კორპუსს** ბინად დაეთმო „სასახლის ნომრები“.

◆ **ქართულ თეატრის აღსადგენ** ფონდის სასარგებლოდ ქართულ კლუბს მიღებულ წესისამებრ პროცენტის სახით შემოსვლია 1917 წელს სულ 11,901 მ. 50 კ.

◆ **სად. აქსტაფიდან** შემდეგი დეპეშა მოვიდა 9 იანვრის თარიღით: სადგურს გარშემოერტყა 300 თათარი. სასტიკი სროლაა თათრებსა და ჯარის-კაცებს შორის. მოკლული ბევრია. თათრები თანდათან ძლიერდებიან. დილიდან აქსტაფას მოაწყდა ყაჩაღთა ბრბო, 100 კაცზე მეტი და საინტენდანტო მაღაზიის დარბევა უნდოდათ. რკ. გზ. მცველების წყალობით ისინი გარეკეს. ორი საათის შემდეგ მათ 300 კაცი დაეხმარა და ისინი შეუდგნენ თავის აზრების განხორციელებას. გაიმართა დიდი სროლა, რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილა.

◆ **ხელოვნების სექცია ეროვნულ საბჭოსთან.** 4 იანვარს მოხდა პირველი კრება ხელოვნების სექციისა, რომელშიაც შედიან წარმომადგენელნი ხელოვნების ყოველი დარგისა, ამ გვარად სექციაში მოხვდნენ: სიტყვაკაზმულ მწერლობიდან კ. მაყაშვილი გრ. რობაქიძე, ლ. შენგელაია, ქაჩელი, თეატრიდან: შალვა დადიანი და ს. ახვლედიანი, მუსიკიდან—მ. ბალანჩივაძე ზ. ფალიაშვილი და ი. იმედაშვილი, მხატვრობიდან: გრ. გაბაშვილი და დ. შევარდნაძე. ხუროთმოძღვრება—ქანდაკება: ი. ნიკოლაძე და სვ. კლდიაშვილი საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან: გ. ქიქოძე და ს. გორგაძე. თავმჯდომარედ დანიშნულია ვ. გობეჩია. არჩეულნი არიან თავმჯდომარის ამხანაგად შალვა დადიანი, მდივნად ლეო შენგელაია-ქიაჩელი, კრებაზე განხილულ იქმნა ძირითადი დებულებანი სექციისა, შემუშავებულ იქმნა წესდება და ხარჯთ-აღრიცხვა.

სექციის შემდეგი კრება დანიშნულია პარასკევს 12 იანვარს ეროვნულ საბჭოს ბინაზე საღამოს 6 საათზე.

◆ **განაპირა უბნებისთვის** ქალაქის გამგეობა წყლის ონკანებს მართავს წყლის უფასოდ მისაცემად.

◆ **შაქრის და პურის ბარათები** 1 თებერვლიდან უბნის საბინო კომიტეტების [illegible].

◆ **სამინისტრო სკოლები** ქალაქის გამგეობაში [illegible].

◆ **ეროვნულ ლატარიას მომწყობ** გამგეობას საქართვ. ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა 50 ათასი მანეთი სესხის ნება დართო ბილეთების დასაბეჭდად და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

◆ **ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე** ალ. ლომთათიძე რომელიც სანოვაგის საქმეების გამო იყო გამგზავრებული დასავლეთ საქართველოში უკვე დაბრუნდა. მისი აზრით სურსათი თებერვლის შუა რიცხვამდის ძლივს ეყოფა მცხოვრებთ.

◆ **ნ. ს. ჩხეიძე** სამხრეთ დასავლეთ ფრონტიდან აურჩევიათ დეპუტატად დამფუძნებელ კრებაში.

◆ **ტრაქტირების და საჩაიების** პატრონებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე ქალაქის გადასახადის დაკლებაზე, ვინაიდან შარშან ისინი წლიურად იხდიდნენ 108 ათას მანეთს წელს კი მათ შეაწერეს 554 ათასი მან. მით უმეტეს, რომ 45 პროცენტი მუშტრისა ხშირად დანახარჯს არ იხდის და იპარება.

◆ **კავკასიის პროფესიონალურ** კავშირთა საბჭომ აირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი: კომიტეტში არჩეულნი იქნენ: პ. აზატიანი, ალ. ხელაძე, ს. ევადკოვი, ბადრიძე, ნ. სლუცკი, კულაკოვი, ფროლოვი.

◆ **ტფილისის ქართველ ქალთა** საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ პარასკევს 12 იანვარს ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე საჩაიე „ძმურ ნუგეშ“-ში დანიშნულია ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების საგანგებო კრება, საგანი კრებისა: სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა.

კავკასიის ამბები

ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლებმა ერზინკიმ და კანტემიროვმა პირდაპირი მავთულით ელაპარაკეს სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის წარმომადგენელს სტრინსკის.

სტრინსკი. კავკავში და რკინის გზის რაიონში ხასავ-იურტსა, პროხლადნაიასა და გროზნოში მდგომარეობა ფრიად რთული და თითქმის გამოუვალია: ძარცვა-გლეჯა. მასიური მკვლელობა, რომელიც ეროვნულ მისწრაფებათა ნიადაგზე ხდება ოსმალ კომისარების ზეგავლენით, რომელნიც ამხედრებენ მაჰმადიანებს გამოსვლისათვის—ყველაფერი ეს გვიქადის ახლო მომავალში საშინელ მდგომარეობას: მთლად მოწყვეტილი ვიქნებით ამიერკავკასიას და მიმოსვლა შეუძლებელი იქნება. ადგილობრივი ძალებით ყოვლად შეუძლებელია მცხოვრებთა დაცვა. კავკავი ასპარეზია ინგუშებისა და ოსების ბრძოლისა რუს-ყაზახებთან. ქალაქში ყველა საწყობი, ცეიხჰაუზი, არსენალი, სახელოსნოები და სურსათის საწყობები დარბეულია, კერძო ბინები მრავლად დაიწვა, სტუსაღო და საქონლის სადგურიც გადაფუფქულია. ფოსტის ვაგონი კორესპონდენციებით დაიტაცეს. არც ერთი დამცველი არ არის, არაფრის გადარჩენა არ შეიძლება და ბრძოლისათვის ძალა არა გვაქვს.

კანტემიროვი. კიდევ რას იტყვით!

სტრინსკი. საჭიროა შეიარაღებული ძალით და ჯავშნიანი ძალით დახმარება. ჩვენ მთლად მოწყვეტილი ვართ. საჭიროა როსტოვთან კავშირის დაჭერა საერთო საქმეების საწარმოებლად.

კანტემიროვი. როგორ არის ქალაქის დაცვის საქმე?

სტრინსკი. დაცვის საქმის მოწესრიგება არ ეწყობა. განზრახულია ქალაქის გვარდიის შედგენა. ამ ჟამად კი 2—3 კაციც არა გვყავს, რომ სადგურიდან კორესპონდენცია გადავიტანოთ ფოსტის კონტორაში. არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი ყაზახი. ქალაქი თავის ანაბარად არის დატოვებული და ინგუშებისა და მთიელების სათარეშოდ გახდა. მდგომარეობა უმწეოა. იმედი გვაქვს დაგვეხმარებით.

პირდაპირი მავთულით ელაპარაკა აგრეთვე ნ. ჟორდანიას. 26 შემდეგი ცნობები მიიღო. თერგის ოლქში არავითარი მთავრობა არ არსებობს. თერგის მთავრობა გაქრა და რადგან არავითარი ნიადაგი არა აქვს, ვერაფერსაც ვერ აკეთებს, თქვენ გვატყობინებთ რომ თქვენის მხრით არავითარ შეარაღებულ დახმარებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. კავკავის ევაკუაცია კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ გზები მთლად მოწყვეტილია. ეხლა ლაპარაკი შეიძლება იმაზე, გაქვთ თუ არა თქვენ რაიმე რეალური ძალა, რომ ჩაერიოთ ჩვენს საქმეებში და აღადგინოთ წესიერება. თქვენ ალბად შეიტყობდით, რომ ყველაფერი განადგურებულია. ჟორდანიას შეკითხვაზე რომ რომელი პარტია უდგას სათავეში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობას, მას უპასუხეს: სარევოლიუციო პარტიები არა რევოლიუციონურად არსებობენ. საბჭო ოფიცრებმა გარეკეს. საბჭოს გარეკა თირგ-დაღესტნის მთავრობამ დაუშვა. საბჭოს ბინა მთიელებმა დაიკავეს, რომელთაც არ ძალუძს ანარქიასთან ბრძოლა და შერიგება არც სურთ.

ჟორდანია. სად არიან ყაზახები! იღებენ თუ არა ისინი რაიმე ზომებს? არ შეგიძლია წითელ რაზმის შედგენა?

პასუხი. ძალები გვყავს. ხოლო უიარაღო. რევოლიუციონური ორგანიზაციებს შეუძლიანთ კავშირი დაიჭირონ ყაზახებთან, ხოლო მათ წინააღმდეგ დიდძალი ჩეჩნები და ინგუშები გამოვლენ, რომელთაც ყაზახები ვერ გაუმკლავდებიან.

საქართ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

— **მთავარ კომიტეტის კრება.** ხვალ, 12 იანვარს, „სახ. საქმის" რედაქციაში, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ახალ მთავარ კომიტეტის პირველი სხდომა.

— **ტფ. კომიტეტის კრება** დანიშნულია დღეს, საღამოს სწორედ 7 ს. პარტიულ კლუბში. განსახილველია გადაუდებელი საკითხები.

— **სამხედრო სექციაში.** პარასკევს, 12 იანვარს, საღამოს ექვს საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია სამხედრო სექციის კრება. სექციის პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს სექციის წევრებს (რაზმელებს), განსაკუთრებით კი ტრამვაელებს და აფთიაქში მოსამსახურეებს—კრებას უკლებლივ დაესწრნენ და დროზედაც გამოცხადნენ.

— **მუშათა კავშირის გამგეობის კრება.** შაბათს, 13 იანვარს, საღამოს ექვს საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფ. სოც.-ფედ. მუშათა კავშირის გამგეობის კრება სხვა და სხვა საკითხების განსახილველად.

ახალი ბონები

ამიერკავკასიის კომისარიატში 30 პროექტი იქმნა წარდგენილი ბონების სურათებისა. ამ პროექტებს და უმეტესი 100 მანეთიან ბონის იყო. ჟიურიმ ერთხმად მოიწონა არქიტექტორ გ. შ. ტერ-მიქელოვის სურათი 100 მანეთიან ბონის.

რაც შეეხება 5 მანეთიანი ბონის სურათს, არც ერთი წარდგენილი პროექტი არ იქმნა მოწონებული, ამის გამო დაადგინეს წინადადება მისცენ ბ. ტერ-მიქელოვს შეადგინოს 5 მანეთიანი ბონის სურათის პროექტიც.

მოწონებული პროექტი ტერ-მიქელოვისა წარმოადგენს აღმოსავლეთის ყაიდის ორნამენტაციას.

100 მანეთიანი ბონის პროექტი ზომით ქაღალდის 5 მანეთიანს უდრის. ბონის ერთ მხარეზე სამს ჩუქურთმაში მოთავსებული იქნება ქართული, სომხური და თათრული წარწერა: „100 მანეთიან ბონას გასავალი აქვს თანაბრად სახელმწიფოს საკრედიტო ბილეთებისა".

სამ დასახელებულ ერის ძმობა აღნიშნული იქნება ბონის კარგ პირზე, სადაც მოთავსებულია მშვიდობიანობის ემბლემა—გზის ტოტი და მტრედები. პროექტის კომპოზიცია აგრეთვე სამი ყაიდის შერევას წარმოადგენს: ქართულის, სომხურის და თათრულის.

განზრახულია აგრეთვე 250, 50, 25 და 3 მანეთიანი ბონების სურათზე კონკურსის გამოცხადება.

ქართველ ახალგაზრდობას!

მოქალაქენო! იანვრის 10—15 ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებით ჯარში გაიწვევენ ახალგაზრდობას 19—32 წლამდე. ეს აუცილებელიც არის, რადგან სამშობლო განსაცდელშია. ერი, რომელმაც გვშობა, რომელმაც გაგვზარდა, ჩვენგან შვილს ითხოვს. ქვეყანა, სადაც დავიბადენით, სადაც ავახილეთ თვალნი და სადაც გავატარეთ საუკეთესო დღეები ჩვენი ცხოვრებისა დღეს ჩვენგან დახმარებას ელის და არა გვგონია, რომელიმე ქართველი ახალგაზრდა, თუ კი ძალუძს იარაღის ხმარება, არ ჩაეწეროს ჯარში და მით დახმარება არ გაუწიოს თავის ერს, თავის ქვეყანას. აი, ეხლა საჭირო ყოველი ჩვენგანი, ეხლა საჭირო ძლიერი ჯარი, რომელიც მედგარ მცველად დაუდგება სამშობლოს თავისუფლებას და რევოლიუციით მოპოვებულს სიკეთეს. მაგრამ ჯარი თავისით მკვდარი იქნება, თუ მასში დისციპლინა არ არის, ჯარს მნიშვნელობა არ ექნება, თუ იგი წესიერების დაცვის ნაცვლად, თვითონვე დაარღვევს ამ წესიერებას, ხოლო ამ უკანასკნელის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ინტელიგენტური ძალა გაიფანტოს პოლკებში და თავისი მაგალითით უჩვენოს სხვა, გზადაბნეულს ამხანაგებს, როგორ უნდა დისციპლინის დაცვა. მოქალაქენო! ყველანი საჭირონი ვართ სამშობლოსა და რევოლიუციის დაცვისათვის, მაგრამ ეს საჭიროება უფრო დიდია ქვეითა ჯარში, ამიტომ მე-8 ქართული მსროლელი პოლკი, რომელიც კახეთში სდგება, მოგიწოდებთ ხსენებულ პოლკში ჩასაწერად. ჩაეწერენით მერვე პოლკში, თქვენის მაგალითით სხვებსაც მიუთითეთ წესიერებისაკენ, რომ საძნელო დროს თავიდან ავიცდინოთ უწესოება ჯარში, რომელიც ყოველს მტერზე და ყოველნაირ საფრთხეზე უფრო საშიშია.

ჩაწერა ყოველ დღე 15 იანვრამდის შეიძლება პოლკის შტაბში, მიხეილის ქუჩა. სახლი № 55 და მერე კი ქ. თელავში.

შენიშვნა

საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია მუდამ საინტერესოა. ზოგჯერ კერძო ადამიანის ცხოვრება ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ხანასთან, რომ მისი ცხოვრების აღწერა აღწერაა მთელი ეპოქისა. ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს აქამდე ვერ აღმოუჩნდათ ისეთი ადამიანი, რომელიც შეისწავლიდეს მათს ცხოვრებას და ვრცლად გააცნობდეს ხალხს, როგორც კერძო პიროვნებას, ისე ხანას, რომელსაც ჰზიდავდა პირი. ჩვენ წინ გარდაიცვალა ჩვენი ნეტარ-ხსენებული არჩილ ჯორჯაძე, ჩვენვე დავმარხეთ ვაჟა-ფშაველა, გუშინ ჩავასვენეთ კიტა აბაშიძე; რომელთა ცხოვრების შესწავლა და აღწერა საინტერესო იქნებოდა, როგორც აწინდელი, ისე მომავალი თაობისათვის, მაგრამ იმის მეტი ცნობა არ მოგვეპოვება იმათ შესახებ, რომ სცოცხლობდნენ და დაიხოცნენ.

მე ვურჩევ ჩვენს სწავლულებს, მიჰბაძონ ი. გრიშაშვილს, რომელმაც სინიდისიერად შეისწავლა საიათნოვას ცხოვრება და მისი დრო. კარგი იქნებოდა ჩვენშიაც დაიწერებოდეს შესაფერისი ბიოგრაფიები ჩვენს მწერალ-მოღვაწეთა, თუ ისეთი არა, როგორიც რუსებს აქვთ—ისეთი მაინც, რომ უბრალო მკითხველს მასალა მიაწოდოს და თავის ქვეყნის აწმყო და წარსული გააცნოს.

ი. მჭედლიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი მისცეთ ამ წერილს,

28 ოქტომბერს ქიათურის ქალთა საზოგადოების მიერ ქ-ნ ანეტა ხოშტარიას დიასახლისობით გამართულ იქმნა საღამო, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა პროფესიონალურ სასწავლებელს. საღამოს შემოსავალი სულ იყო 5511 მან. 36 კ., გასავალი 2132 მან. 25 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 3379 მ. 11 კ.

ქიათურის ქალთა საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ქ-ნ ანეტა ხოშტარიასას, რომელმაც ძალა და ენერგია არ დაიშურა საღამოს მოწყობისათვის და აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და შეწირულებით ან და პირადი მონაწილეობით ხელი შეუწყვეს გამართულ საღამოს მოწყობას.

ქიათურის ქალთა საზოგადოების გამგეობა

—

პატივცემულო მოქალაქე რედაქტორო! გთხოვ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და მეორე ეწერის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს აღმოუჩინეს დახმარება: ძუკუ დიმიტრისძე გუგუშვილმა 150 მ., ონიფანტე იესესძე გუგუშვილმა 25 მან., სევერიანე იესეს ძე გუგუშვილმა 10 მ., მარუსია გიორგი გუგუშვილის ასულმა გამოუწერა გაზეთი „სოციალდემოკრატი", ნატაშა ივლიანე კალანდაძის ასულმა „კავკაზსკი რაბოჩი", პოდპორუჩიკმა ნიკოლოზის ალმასხანისძე გუგუშვილმა შესწირა 7 მან. წიგნაკები და აკაკი ლუკასძე ქვარიანმა ოთხ დიდ ქარტას გაუკეთა ჩარჩო.

მეორე ეწერის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე მღვდელი **გიორგი გუგუშვილი.**

შემოწირულება

სია შემოწირულებისა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებიდან ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

ოცდა ხუთხუთი მანეთი: შანიძე ვასილ, მიქაბერიძე ტრიფონ, ჰრელაშვილი ვარლამ, ჰეიშვილი ანნა, ჰუმბურიძე მარო, აბულაძე ვანო, წიქორიძე მარო.

ოც-ოცი მანეთი: შანიძე ალექსანდრე, კოსტავა იაკობ.

თუთხმეტ-თუთხმეტი მანეთი: ივანიძე ალექსანდრე, ჰაბუკიანი გრიგოლ, კუპრავა რომან, წერეთელი აკაკი, რუსაძე თამარ, ვოკოლაშვილი დომენტი, კობრეიძე ვერა, აბდალაძე ვარლამ, აბულაძე სიმონ.

თითო თუმანი: კაჭახიძე კონსტანტინე, ვარდოსანიძე ონისიმე, ტყეშელაშვილი ნინა, ხითაროვი პეტრე, ქათამაძე ნინა, შავგულიძე ივანე, თომაშევსკი ალექსანდრე, კატარმასოვსკი ალექსანდრე, ჩოგოვაძე გერასიმე, ციბაძე ვარლამ, კიკნაძე გრიგოლ, ნოვიკოვი ვასილ, გაჩეჩილაძე ლავრენტი, შარაბიძე მართა, ჰუმბურიძე გრიგოლ, დუგლაძე ქრისტინე, ჩოგოვაძე გერმანე, თომაშევსკი ვერა, მეძმარიაშვილი მინადორა, კურცხალია ივანე, კაჭკაჭიშვილი სოფიო, ნასარიძე თამარ, საკოვა მარიამ, შანიძე ლუბა, ლომაძე დომიდე, შანიძე სოფიო გვარამია ნინა.

რვა რვა მანეთი: ანტონოვა ლუბა, ხრჟანოვსკი ბიქტორ, ჰეიშვილი ანდრია, ჩირაძე მარიამ, მიქელაძე ალექსანდრა, აბაზაძე ილია, მესხი ივანე, ხოხიაშვილი ილია, ხოხიაშვილი კოსტანტინე.

შვიდი მანეთი: ნიორაძე ვერა.

ექვსი მანეთი: ცანავა დავით.

ხუთ-ხუთი მანეთი: დოლიძე ზაქარია, ჰელიძე ილია, კალანდარიშვილი პლატონ, ფანარჯიევი არტემ, წულუკიძე ილია, გვინჩიძე მელქისედეკ, გრიქუროვი ნიკო, მახარაძე მაქსიმე, ჯაში გერასიმე, სავჩენკო თედორე, იოსელიანი ევგენი, ბაბად-ოღლი ერნესტი, რობაქიძე ივანე, შავგულიძე ვლადიმერ, კურცხალია ნიკოლოზ, შავარდნაძე იაკობ, ბერძენიშვილი გრიგოლ, ზეგეჭკორი გრიგოლ, კახოვევი სტეფანე, კიუნელელი შუშანიკა, ქარუმიძე ლევან, კიკალიძე გიორგი, ჩიგოგიძე ზაქარია, წივწივაძე ივანე, ტაბიძე ისიდორე, ჰულუხაძე ვლადიმერი, ჰეიშვილი ვასილ, ბერძენიშვილი სიმონ, წერეთელი ვერა, ბერძენიშვილი ვალენტინა, ლუკიანენკო ანნა, ნაცვლიშვილი კირილე, კიკიანი ეკატერინე, ტაბიძე ალექსანდრე, ჩხენკელი ალექსანდრე, ორჯონიკიძე არჩილ, ქუთათელაძე პელაგია, შავგულიძე დავით, წივწივაძე კონსტანტინე, კაშია მელქისედეკ, შოთაძე კონსტანტინე, ჯაფარიძე კონსტანტინე, ბაუმგერტ ავგუსტინ, წივწივაძე პეტრე, კემპინი კაროლო, კოტრენკო თეოდორა, ბარკალაია გრიგოლ, გვეცაძე ნოე, გველესიანი პელაგია, მგალობლიშვილი ანნა, გვინჩიძე მარია, კანდელაკი იულია, კუხიანიძე ქსენია, კვალიაშვილი ანნა, კირკიტაძე მართა, ჯინჭველაშვილი სიმონ, ხაზიშურიძე ონიფანტე, კუპრეიშვილი ალექსანდრე, დოლაბერიძე ბესარიონ, ხითაროვი ალექსანდრე, უკლება პროკოფი, აბულაძე მიხეილ, ჰულუხაძე გრიგოლ, ჰელიშვილი კლიმენტი, იოსელიანი ნოე, იოსელიანი კონსტანტინე, ფხაკაძე ლავრენტი, ასათიანი ნინა, ტჯაური პეტრე, ტაპატაძე მარიამ, ბოლქვაძე ვალენტინა, წულუკიძე დიმიტრი, ფანცხავა ამბაკო, სილოგავა ნინა, მეძმარიაშვილი დომინიკა, ნემსაძე ალექსანდრა, დოლონაძე მარიამ, გრიგორაშვილი მარგალიტა, ფხაკაძე ვერა, მასხარაშვილი დომენტი, იოსელიანი ივანე, მაკალათია კალისტრატე, ბერაძე ალათი; ფხაკაძე კალენიკე, ხოშტარია სიმონ, ტყეშელაძე ნიკოლოზ, ჰელიძე მიხეილ, ნაკაშიძე ბეჟან, კაპანაძე მარიამ, ტერ-გრიგორიანც გრიგოლ, ჩიხლაძე ილია, რეგარჩუკ კარპე, ჩიხლაძე ვარლამ, ჰუმბურიძე ალექსანდრე, იოსელიანი შალვა, სულავა ალექსანდრე, ასათიანი [illegible], ფოფხაძე გრიგოლ, კორძაძე ევგენი, ბრეგაძე გიორგი, კუპრავა რომან, დოლიძე მიხეილ, ბოჭორიშვილი მიხეილ, გოჰაძე გრიგოლი, მახარაშვილი სევერიანე, დოლიძე იოსებ, ჯოხია კონსტანტინე, გამყრელიძე ნინო, გაბისონია კონსტანტინე, ჯახვაშვილი კოსტანტინე, მგალობლიშვილი კონსტანტინე შენგელია ბაგრატ, ლაგაძე ლადიკო, ვეკუა ექვთიმე, გუგუშვილი გრიგორ, თოფურია პლატონ ბახტაძე ნინა, ბერეკაშვილი ლეონიდა, ფულარიანი მარიამ, შარვაძე ვერა, სიჩინავა თედორე, ახობაძე ნადეჟდა შენგელია პლატონ, ონიაში იოანე, ვასაძე გრიგორ, რამიშვილი მარიამ, კაკაბაძე პოლიკარპე. ობოლაძე მელიტონ, სიხარულიძე ბესარიონ, რობაქიძე ივანე, ლეჟავაშვილი იოსებ, სანებლიძე ელენე, ასათიანი იოსებ, ასათიანი ალექსანდრე, ბანძელაძე დოროთეა, ოყრომიძე მირონ, პატარიძე ელენე, ალასანია ელენე, ჰრელაშვილი ნატალია. მინდელი ბესარიონ, მიქაბერიძე მარიამ, მგალობლიშვილი იასონ, დოლიძე ისიდორე, დოლიძე ივანე, დოლიძე ჯესე, ვარდანაშვილი ივანე. ზარქუა პავლე, გიორგაძე თადეოზ, ფოჩხიძე ლუარსაბ, ხოხიაშვილი თეიმურაზ. ფხაკაძე ვლადიმერ, გაბუნია ლევან, ხურციძე სევერიანე, ნაფეტვარიძე იასონ, სოფრომაძე დავით, გიორგაძე ვლადიმერ, შენგელია გრიგორ, ჩაკნელაძე თეოფანე, ნიშნიანიძე იასონ გენძეხაძე მიხეილ, კუჭავა მელიტონ ხოხიაშვილი ესმა. ჯანელიძე ალექსანდრე, კონჩას ნიკოლოზ, ჯიბლაძე ბიქტორ, ლაჭყეპიანი შალვა, მახათაძე კალისტრატე, პატარიძე ივლიანე, დოლიძე ილია, ნიშნიანიძე სილოვან, ბაქრაძე დავით, სირბილაძე ბარნაბა. ხრჟანოვსკაია ანნა, კურტანიძე შალვა სალაძე მისტილი, განუგრავა დომენტი.

ჯამი 1595 მანეთი. კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჰრელაშვილი მდივანი ვლ. ჩულუხაძე.

ქართ. უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრამიანისა
საბუღალტერო კურსები
(არსებობს 1895 წლიდან).
ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მეცადინეობით.
15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1918 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი მიეცემა ყველას ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 2259

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, [illegible] და [illegible] შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5½ ს. დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 85. ტელ. № 10—17. 427

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—8 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 6—77. 1059

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. ბ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—[illegible]. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X-სხივებით, [illegible] ტიპისა, დიდი [illegible], განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებათათვის, გულის ავადმყოფებისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., [illegible] ქ., № 28, ტელეფ. № 7—22. 683

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საზოგადო & საშვილოსნოს ავადმყოფებს, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროპავლოვსკის ქ. № 7.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ [illegible] საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე. შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი ქალი
ნინო რჩეული[illegible]
იღებს ავადმყოფებს დილით 9—[illegible] საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა, 14. [illegible] შესახვევი, 21.

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 2040

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
ლ. დ. ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 25/31. 131

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
გალანდარიშვილი
[illegible]
საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ს. ზ. მირზოევი
[illegible]
გიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—6

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კირპიჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—32.

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის" პირდაპირ. 1056

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებული 18[illegible] წელს)
[illegible]
ავიტესიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
[illegible]
1 მან. [illegible]

სარეკლამო ბიურო
„რიაშ"
(ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. 16).
ყურადღება!
მივიღეთ რა მხედველობაში მრეწველობის განვითარება ამიერ-კავკასიაში, დავაარსეთ და 1918 წლის 15 იანვრიდან გაიხსნება ტფილისში, კავკასიაში პირველი სარეკლამო ბიურო „რიაშ"
რუსეთ-ამერიკის ფირმის, რომელიც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის სარეკლამო კანტორების მსგავსად აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციას განცხადებების და ყოველგვარ გაზეთებსა და ჟურნალებზე (ადგილობრივ და უცხო) ხელის მოწერის მიღებას, სხვა და სხვა რეკლამების მოწყობას და სხვ.
განცხადების შედგენას ბიურო უსასყიდლოდ კისრულობს. განცხადების ფასი რედაქციებზე ძვირი არ იქნება. ბიურო იღებს აგრეთვე სხვა და სხვა გამოცემათა წარმომადგენლობას, ბიუროს საჭიროება აგენტები განცხადებების და ხელის მოწერის მისაღებად, ტფილისში და სხვა ქალაქებში. შეუძლიანთ იმ პირებსაც რომელნიც სამსახურში იმყოფებიან ქალებსაც შეუძლიანთ შემოსვლა სამსახურში. ბიურო დროებით იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, „ქიმიურ-ფარმაცევტული ლაბორატორიის გვერდით. 1010.

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:—

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" ორივე ტომი	6 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „	
გრიდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—	60
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „	20
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	—	40
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—	60

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყოვნებლ
წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მი
მართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ
გვარ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე

სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა, სახ № 14